

არემჭი

სიასღლეები

რიჩ მეტალს გრუპი

N 20 | იანვარი-თებერვალი | 2016



**„არემჭის“ საწარმოს
თერიტორიაზე, მუშა-
პერსონალის
სამუშაო პირობების
გაუმჯობესების
მიზნით, სხვადასხვა
სარეაბილიტაციო
სამუშაოები
მიმდინარეობს.**



სარეაბილიტაციო სამუშაოები „არემჭის“ თერიტორიაზე

ადმინისტრაციულ შენობაში გარემონტდა სამედიცინო პუნქტი, სადაც პაციენტებს ექნებათ საშუალება, უფრო კომფორტულ გარემოში მიიღონ პირველადი სამედიცინო დახმარება. ასევე სადაზღვევო და ოჯახის ექიმის მომსახურება. როგორც კომპანიის

წარმომადგენლები ამბობენ, საწარმოს თერიტორიაზე ეს უკვე მე-3 მედპუნქტია, რომელიც განახლდა და აღიჭურვა საჭირო მედიკამენტებითა და ინვენტარით.

ასევე, საწარმოს კარიერაზე, სამთო ტრანსპორტის საამქროში გარემონტდა სველი

წერტილები, საშხაპეები და გასახდელები. სამუშაოები ოქტომბრის თვიდან დაიწყო და სარემონტო-სამშენებლო ჯგუფი საქმის დასრულებას თვის ბოლომდე გეგმავს. ამავე თერიტორიაზე გარემონტდა სასადილოც, სადაც მუშა-მოსამსახურეებს შესვენების



გაგრძელება მეორე გვერდზე



პერიოდში შესაძლებლობა ექნებათ, უფრო მშვიდ და კომფორტულ გარემოში ისაдиლონ. სასადილოს ერთდროულად ათეულობით ადამიანის გამასპინძლება შეეძლება. როგორც საწარმოში ამბობენ, სამთო ტრანსპორტის საამქროში ასეთი გაუმჯობესებული გარემო ჯერ არ ყოფილა.

ამა წლის იანვარში სარემონტო სამუშაოები დაიწყო სარემონტო მექანიკურ საამქროშიც.



მიმდინარეობს ქალთა და მამაკაცთა სველი წერტილების რეაბილიტაცია. კეთდება კანალიზაციის სისტემა. როგორც საამქროს თანამშრომლები იხსენებენ, 1985 წლის შემდეგ ასეთი გაუმჯობესებული პირობები არ ყოფილა. სარეაბილიტაციო სამუშაოები სარემონტო მექანიკურ საამქროში მარტის ბოლოს დასრულდება.

რეაგენტების საამქროს ტერიტორიაზე




გადადის ავტოპარკის უბანზე, სადაც რემონტდება უბნის ადმინისტრაციული შენობა და იქ მომუშავე თანამშრომლებისთვის, სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით, კეთდება გასახდელი საშხაპეებითა და საპირფარეშოებით. უშუალოდ რეაგენტების საამქროში კი კეთდება სველი წერტილები. სარეაბილიტაციო სამუშაოები მარტის თვეში დასრულდება.



კომპანიის ქიმიურ ლაბორატორიაში დაიწყო სველი წერტილების გარემონტება და იატაკის მოპირკეთება. სამუშაოები II-III სართულებზე მიმდინარეობს. ასევე მიმდინარეობს კანალიზაციის სისტემის მოწესრიგება. სამუშაოები იანვარში დაიწყო და მარტის თვეში დასრულდება.

საწარმოს ტერიტორიაზე აღნიშნული სარეაბილიტაციო სამუშაოები კომპანიის



თანამშრომელთა სამუშაო გარემოს გაუმჯობესებას ემსახურება. როგორც კომპანიის წარმომადგენლები ამბობენ, ასეთი მასიური სარემონტო საქმიანობა ბოლო 20 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა. კომპანია „არემატი“ მომავალშიც გეგმავს მსგავსი სამუშაოების ჩატარებას, რაც კიდევ უფრო მეტად გააუმჯობესებს სამუშაო პირობებს.

„არემჯიმ“ კაზრეთში ქორეოგრაფიულ ანსამბლებსა და სკორტულ ბუნდებს დაფინანსება გაუზრძელა

„არემჯიმ“ კაზრეთის ქორეოგრაფიულ ანსამბლებს: „მარტვესა“ და „მადნეულს“ დაფინანსება გაუზრძელა. კომპანიისგან ასევე ყოველთვიურ დაფინანსებას მიიღებენ დაბის მოჭიდავეთა, ფეხბურთელთა და მორაბაბეთა ბუნდები, რომლებიც საქართველოში თუ საერთაშორისო ტურნირებზე წარმატებით ასპარეზობენ.

ციური პაპიაშვილი (ანსამბლ „მადნეულის“ ქორეოგრაფი) – „38 წლის მანძილზე, რაც კაზრეთის ქორეოგრაფიულ ანსამბლს ვხელმძღვანელობ, აქამდე არ მახსენდება, რომ კომპანიას თავის თავზე აეღო ფინანსური პასუხისმგებლობა. „არემჯიმ“ ამ წელსაც გაგვიგრძელა დაფინანსება, რაც ჩემი მოცეკვავეების მშობლებისთვის დიდი შეღავათია. არის ოჯახები, საიდანაც ორი წევრი დადის



ერთდროულად, ამიტომ, რომ არა დაფინანსება, ასეთი ბავშვები ანსამბლში ცეკვას ნამდვილად ვერ შეძლებდნენ. ვარძიაში რომ ვიყავით, მახსოვს, ტრანსპორტის საწვავის პრობლემაც კომპანიამ გადაწყვიტა. იმდენად მოტივირებულები იყვნენ ჩვენი მოცეკვავეები, რომ „ვარძიობაზე“ გამართულ კონკურსში, სადაც მთელი საქართველოს მასშტაბით წარდგენილნი იყვნენ სხვადასხვა ქორეოგრაფიული ანსამბლები, პირველი ადგილი მოვიპოვეთ. ასე რომ, დიდი მადლობა კომპანია „არემჯის“ გაწეული სიკეთისთვის.

გივი ტატიშვილი (ანსამბლ „მარტვეს“ ქორეოგრაფი) – „უბრალო მადლობის თქმით ვერ გამოვხატავ მადლიერებას იმ საქმისადმი, რასაც „არემჯი“ ჩვენი ანსამბლისთვის აკეთებს. მათი მხარში დგომით საკმაოდ შევამცირეთ კომუნალური ხარჯები, მოცეკვავეებს მოვუხსენით ყოველთვიური სწავლის საფასური. ამა წლის თებერვალში კომპანიამ კვლავ გააგრძელა ანსამბლის დაფინანსება, რაც ჩვენი და ჩვენი ბავშვებისთვის კიდევ ერთი დიდი სტიმულია.



ბევრჯერ მითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ 34-წლიანი მუშაობის მანძილზე ჯერ ასეთი ყურადღება არ მახსოვს. კომპანიის მხარდაჭერის წყალობით, პირველ და მეორე კლასში ბევრი ისეთი ნიჭიერი ბავშვი მივიღეთ, რომლებიც დაუფინანსებლობის შემთხვევაში ნამდვილად ვერ შეძლებდნენ მომზადებას. 43 ბავშვი არის პირველ კლასში, ხოლო 46 - მეორე კლასში. ეს ნამდვილად არ არის ცოტა. ჩემი, ანსამბლის კიდევ ერთი ქორეოგრაფის- ჯაბა თოდრიას, ბავშვებისა და მშობლების სახელით კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო „არემჯის“ ასეთი დახმარებისთვის!”

ბახვა მოსეშვილი (საფეხბურთო გუნდ „მადნეულის“ მწვრთნელი) – „არემჯიმ“ ამ წელსაც გაგვიგრძელა დაფინანსება. თავისუფლად შეგვიძლია სხვადასხვა ტურნირებში



მონაწილეობის მიღება და გასვლით თამაშებზე წასვლა. ამ ეტაპზე მონაწილეობას ვიღებთ მერიის თასისა და ქვემო ქართლის ტურნირებში. იმედი გვაქვს, რომ საპრიზო ადგილს დავიკავებთ.“

ელგუჯა ბასილაშვილი (თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა გუნდის მწვრთნელი) – „მე და ჩემი სპორტსმენებიც გახარებულები ვართ, რომ კომპანიამ გაგვიგრძელა დაფინანსება.“



„არემჯის“ მხარდაჭერა რომ არა, ჩვენ ნამდვილად ვერ მივალწევდით იმ შედეგებს, რაც დღეს გვაქვს. ოთხი კაზრეთელი მოჭიდავე საქართველოს ნაკრების წევრია. გუნდის ათი სპორტსმენი კი ბოლნისის მუნიციპალიტეტის სტიპენდიანტი გახდა. ჩვენ რომ არ გავსულიყავით სხვადასხვა ტურნირებზე და არ მოგვეპოვებინა საპრიზო ადგილები, ნამდვილად

კომპანია „არემჯი“ კვლავაც გააგრძელებს კულტურული და სპორტული სფეროს მხარდაჭერას როგორც დაბა კაზრეთში, ასევე მთელ რეგიონში.

ვერ მივალწევდით ამ შედეგს. მივალწივით იმიტომ, რომ „არემჯი“ გვიდგას მხარში და მისი დახმარებით დავდივართ შეჯიბრებებზე. ასეთი ფუფუნება ჩვენ ჯერ არ გვქონია. არც იმის შიში გვაქვს, რომ რომელიმე ტურნირზე უსახსრობის გამო ვერ გავემგზავრებით. კომპანიის წყალობით წელში გავიმართეთ და იმედიანად ვართ, რომ არც ერთი ასაკობრივი ჯგუფის მოჭიდავე არ გამოტოვებს შეჯიბრებას. მადლობა მათ ასეთი მხარდაჭერისთვის.“

შოთა მალრაძე (რაგბის გუნდის მწვრთნელი) – „კომპანიამ ამ წელსაც გაგვიგრძელა დაფინანსება, რისთვისაც მადლიერები ვართ. უხარიათ ჩვენს მორაგებებსა და მშობლებს, რადგან კომპანიის დახმარებით მათ ერთი თეთრის გადახდაც კი არ უწევთ. ამჟამად კაზრეთის „ყოჩებს“ 60 ბავშვი ვარჯიშობს. აქედან სამი მორაგბე: ლექსო ედიბერიძე, ნიკოლოზ აველიაშვილი და შოთა კვენეტაძე 15 წლამდე ნაკრების წევრები გახდნენ. მონაწილეობას მივიღებთ საქართველოს



ჩემპიონატის „ბ“ ლიგაში. პირველი წელია, რაც თამაში დავიწყეთ და იმედი გვაქვს, რომ სამეულში მოვხვდებით. მადლობა კომპანიას, რომ კაზრეთის „ყოჩებს“ უდგას გვერდით!“

„არემჯის“ თანამშრომელთა სპეცტანსაცმლით ეკიპირება გრძელდება

კომპანია აგრძელებს საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა სპეცტანსაცმლით უზრუნველყოფას. თებერვლის თვეში, როგორც „არემჯი კოპერის“, ასევე „არემჯი გოლდის“ თანამშრომლებმა მიიღეს 560 ერთეული ქურთუკი, 854 წყვილი ფეხსაცმელი, 600 ერთეული

სპეცტანსაცმელი და 500 ერთეული საწვინარი. უახლოეს მომავალში ასევე იგეგმება საზაფხულო სპეცტანსაცმლისა და სხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების განახლება, საწარმოს შემდუღებლების ეკიპირება დამცავი ფარით, სპეცტანსაცმლითა და ფეხსაცმლით.